ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ს ა ნ ო ტ ა რ ო ა ქ ტ ი

ორი ათას ოცდაორი წლის ოც აპრილს, მე, ხათუნა კალანდარიშვილს სანოტარო ბიუროში, მდებარე ქ. ბათუმში, ნოე ჟორდანიას ქ. №12-ში, მომმართა: **მანანა ჯღარკავამ (დაბ. 05.04.1965 წელს, პ N 61001019135. მცხ. ქ. ბათუმი, ალ. ყაზბეგის ქ. N 21, ბინა N 10)** და მოითხოვა აღნიშნული გარიგების შედგენა და სანოტარო წესით დადასტურება. მე, წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, დავადგინე მარწმუნებლის პიროვნება, უფლებამოსილება და ნების გამოხატვის ნამდვილობა. მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე, ნოტარიუსმა მას წავუკითხე ეს გარიგება, განვუმარტე მისი შინაარსი და ის, რომ ნებისმიერ დროს მას შეუძლია გააუქმოს ეს გარიგება. მარწმუნებელმა პირადად წაიკითხა და დაადასტურა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას. რის შემდეგ. მან ჩემი თანდასწრებით პირადად ხელი მოაწერა შემდეგ მინდობილობას.

მინდობილობა

მანანა ჯღარკავა (დაბ. 05.04.1965 წელს, პ N 61001019135. მცხ. ქ. ბათუმი, ალ. ყაზბეგის ქ. N 21, ბინა N 10) (შემდგომში "მიმნდობი"), უფლებას ვაძლევ **მარინე კავთელიშვილს (დაბ. 24.10.1984 წელს, პ N 01014003472)** (შემდგომში „მინდობილი პირი") : იყოს ჩემი წარმომადგენელი ნებისმიერ სახელმწიფო, არასახელმწიფო, საზოგადოებრივ, კომერციულ, ადმინისტრაციულ ორგანიზაციასა და დაწესებულებაში, მესამე პირებთან (ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან) **ურთიერთობაში, უძრავ ქონებასთან, რომლის მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდია: 01.13.06.004.031.01.908, დაკავშირებით, კერძოდ:** ადგილობრივი მმართველობისა და თვითმმართველობის ორგანოებში, მათ შორის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, არქიტექტურის სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში, ურბანული განვითარების საქალაქო სამსახურში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საკრებულოში(ლეგალიზაცია/აღიარების კომისიაში)გამგეობაში, იუსტიციის სახლში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, ჩემი სახელით შეიტანოს განცხადება, წარმოადგინოს ან/და მიიღოს ნებისმიერი დოკუმენტი, დუბლიკატი, ცნობა, მოწმობა, ნებართვა, აზომვითი ნახაზი, პროექტი, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადი, მოაწეროს ხელი შესაბამის დოკუმენტაციას; **მინდობილ პირს, უფლება არა აქვს რაიმე ფორმით მართოს ან განკარგოს ზემოაღნიშნული უძრავი ქონება;**

მინდობილობა გაცემულია, 2023წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით , სამ ეგზემპლარად. აღნიშნული, მე, ნოტარიუსმა ხათუნა კალანდარიშვილმა ხმამაღლა წავუკითხე მიმნდობს, მან პირადად წაიკითხა და მკაფიოდ და ნათლად დაადასტურა, რომ იგი ზუსტად გამოხატავს მის ნებას, რის შემდეგ ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელი.

გადახდილია ნოტარიუსის საზღაური 10.00 ლარი, თანახმად საქართველოს მთავრობის დადგენილებისა, "სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" (29 დეკემბერი, 2011 წელი, დადგენილება №507) 31 მუხლის და, აგრეთვე დღგ თანახმად საქართველოს საგადასახადო კოდექსის 166-ე მუხლისა 1. 80 ლარი, ასევე რეგისტრაციის საფასური 2.00 ლარი, თანახმად ამავე დადგენილების 39–ე მუხლისა.

მიმნდობი: ---------- მანანა ჯღარკავა

ნოტარიუსი: ----------